ქალებს მამაკაცებზე ნაკლები ანაზღაურება აქვთ

გვ. 2

ფოთიდან „ფლექსის„ ხუთი ფინალისტია

გვ. 2

ჭოპორი ფოთი

ფასი 50 თეთრი №7 19 - 26 მარტი 2018 წელი\ -ბამოდის სამშაბათობით

ორი ფილის გამო ორშვილიან ქალს შესაძლოა პატიმრობა მიუსაჯონ

თეკლე მატკავა
ფოთი

დევნილთა დასახლებაში მცხოვრები მარტოხელა დედა, რომელიც საერთო საცხოვრებელში არასრულწლოვან შვილებთან ერთად ცხოვრობს, დიდ გაუგებრობასა და უსამართლობაში გაეხვია. ინგა კინტირაიას პროკურატურა სახელწიფო ქონების დატაცებას ედავება და ამისთვის 1-დან 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება. აღნიშნულთან დაკავშირებით მიმდინარეობს სასამართლო პროცესები. მომდევნო პროცესი 21 მარტს გაიმართება. თავად კინტირაია უარყოფს დანაშაულს და პროკურატურასა და სამართალდაცველების მხრიდან ზეწოლაზე საუბრობს.

ყველაფერი კი ასე დაიწყო - ე.წ. „ კემპინგების“ მიმდებარე ქუჩის თავში, სადაც ეს დასახლებაა განთავსებული, მიმდინარეობდა სანაპირო ზოლის გზის მოსაპირკეთებელი სამუშაოები. სამუშაოების დასრულების შემდეგ მშენებლებმა დატოვეს მორჩენილი ფილები, რომელიც მძიმეა. როგორც ეჭვმიტანილმა გვითხრა, სამი წელია, რაც ეს ფილები ასე ქუჩაში ერთმანეთზე დაწყობილი ყრია და სიმძიმისგან თანდათან მიწაში ჩაეფლო. ერთ დღესაც ქალმა გადაწყვიტა, ამ ფილებით აემაღლებინა საერთო საცხოვრებელთან მისასვლელ გზაზე წვიმის შედეგად გაჩენილი გუბეები, რადგან საცხოვრებელში შეუძლებელი ხდებოდა შესვლა. ამისათვის ხელის ე.წ „ტაჩკა“ მეზობელს თხოვა, დაიხმარა მცირეწლოვანი შვილი და დააპირა ამ ფილების ამოღება: „ ფილებს რომ ვიღებდი, მოვიდა პოლიცია. არ ვიცი, ასე უცებ საიდან გაჩნდნენ. არ მიფიქრია ქურდობაზე. მე თვითონ იურისტი ვარ, კანონებიც ვიცი და ვმუშაობდი კიდეც 6 წელი ჩემი პროფესიით. მანქანიდან გადმოვარდა პოლიციელი, ვიღაც ლეფსაია, რომელმაც დიწყო ფოტოების გადაღება. მე, რა თქმა უნდა, გამიკვირდა ასეთი საქციელი და ვკითხე, რატომ მიღებდა ფოტოებს. მიპასუხა, ეგ ქურდობააა და სა-

დასასრული 5-გვ.

შეუწყდება თუ არა ხელშეკრულება პარკირებაზე მომუშავე კომპანიას

გვ. 3

„ჩემი უფლებაა, თავი ვიგრძნო დაცულად„

ქალთა მიმართ ძალადობის საგანგაშო მაჩვენებელი

გვ. 3

„ახალი რაიონი„ - მუდმივი მიგრანტების თავშესაფარი?!

გვ. 4

შენ ჯერ ეგ არ გინახავს?



აქ გვიპოვი ჩვენ

www.msnews.ge

სილოვან გვასალია: „დღევანდელი ფოთი ემსგავსება ანტიკურ ფაზისს„

გვ. 5

მძღოლთა საყურადღებოდ

გვ. 5

იაგო კიზირია საუკეთესო მოკრივის თასის მფლობელია

გვ. 7

გამომცემელი და დირექტორი, მთავარი რედაქტორი
ინგა გვასალია - 599 341 417;
ინგაგვასალია
რედაქტორი
ივეტა პაჭკორია - 597 97 76 18

კორექტორი:
მაია ჩხეიძე
551 522 429-
კორესპონდენტები:

მარიამ ჯავახია - 579 24 11 22

თეკლა მატკავა (ფოთი)
568 74 41 12

ივეტა პაჭკორია (ხობი)
597 97 76 18

გამოქვეყნებული მასალის შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს. სტატიის ავტორები თავად აგებენ პასუხს ინფორმაციის სიზუსტეზე. რედაქციაში აუდიო მასალები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები არ მიიღება.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა რედაქციის ნებართვის გარეშე აკრძალულია.

ქალებს მამაკაცებზე ნაკლები ანაზღაურება აქვთ

ქალთა შრომითი უფლებების დაცვაზე იმსჯელეს კერძო და საჯარო სექტორში დასაქმებულმა ქალებმა, ფოთის მედიაცენტრის ორგანიზებით გამართულ შეხვედრაზე.

როგორც „ჟურნალისტთა ქსელი გენდერული თანასწორობისთვის“ ფოთის მედია ცენტრის დირექტორმა, ინგა გვასალიამ პრეზენტაციისას როგორც აღნიშნა: “ 2015 წლის ქალთა წლად გამოცადების მიუხედავად, ამ კუთხით არაფერი გამოკეთებულა, თუ არ ჩავთვლით პოლიტიკური პარტიებისთვის კვოტირების განსაზღვრას. ქალები კვლავ აწყდებიან დისკრიმინაციას, როდესაც საქმე ეხება ანაზღაურებას, პრემიებს, დაწინაურებას, სამუშაო პირობებსა და გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციაზე ყოფნას”.

შეხვედრაზე გვასალიამ მონაწილეებს საერთაშორისო კონვენციებზეც მიაწოდა ინფორმაცია.

“სამწუხაროდ 2004 წლის შემდეგ საქართველოს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის არც ერთი კონვენციის რატიფიცირება არ მოუხდენია და დღევანდელი მდგომარეობით, საქართველოს რატიფიცირებული აქვს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მხოლოდ 16 კონვენცია. სწორედ აქედან გამომდინარე, ქალთა შრომითი უფლებების დაცვა კვლავ რჩება სერიოზული კრიტიკის საგნად. ყოველდღიურად ირღვევა ქალთა შრომითი უფლებები“- განაცხადა მედიაცენტრის დირექტორმა.

როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, ქალებს მამაკაცებისგან განსხვავებით ნაკლები ანაზღაურება აქვთ ქვეყნის ეკონომიკის ყველა სექტორში, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ქალების უნარი და კომპეტენცია არასათანადოდაა შეფასებული.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, ქალთა საშუალო ხელფასი 400 ლარით დაბალია მამაკაცის საშუალო ხელფასზე.

გვასალიასავე განმარტებით, საქართველოში ქალთა უფლებების დაცვის საკითხებში ჯერ კიდევ არსებობს ორმაგი სტანდარტი: „საქართველოს კანონის „საჯარო სამსახურების შესახებ” 111-ე მუხლის მიხედვით, მოხელე ქალი არ შეიძლება გათავისუფლდეს სამსახურიდან ორსულობის ან ბავშვის 3 წლის ასაკამდე აღზრდის პერიოდში შტატების შემცირების, ხანგრძლივი შრომისუუნარობის ან ჯანმრთელობის მდგომარეობის, აგრეთვე ატესტაციის შედეგების გამო. მსგავს დებულებას არ ითვალისწინებს შრომის კოდექსი. რა თქმა უნდა, მისასალმებელია, როდესაც საჯარო სამსახურში მომუშავე ქალები დაცულნი არიან დისკრიმინაციისგან, თუმცა ამავე დროს გვიჩნდება კითხვა რამდენად სამართლიანია, როდესაც ასეთი სახის ნორმა მხოლოდ საჯარო სამსახურში მომუშავე ქალებზე ვრცელდება და არა კერძო სექტორში დასაქმებულ ქალებზე. საქართველოს კონსტიტუცია კი ნათლად აცხადებს, რომ ყველა ადამიანი თანასწორია კანონის წინაშე. რეალურად კი ასეთ „პოზიტიურ დისკრიმინაციას” ვაწყდებით“- განაცხადა გვასალიამ.

ფოთიდან „ფლექსის„ ხუთი ფინალისტია

არასამთავრობო ორგანიზაცია „დიოსკურიას“ ოფისში გაიმართა „ფლექსის“ ფინალისტების შეხვედრა ახალგაზრდული კლუბის წევრებთან, რომლებმაც თავიანთი განცდები, ემოციები და გამოცდილებები გაუზიარეს კლუბის წევრებს.

ფოთიდან „ფლექსის“ ხუთი ფინალისტია - არჩილ გვასალია, ანა სამურკასოვი, სალომე ახალაია, ალექსანდრე ნანეიშვილი,დავით ვადაქარია.

„ფლექსი კულტურული გაცვლითი პროგრამაა საქართველოსა და ამერიკაში, რომელიც მოიცავს ერთწლიან სასწავლო წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში“- თქვა არჩილ გვასალიამ.

„ფლექსის“ ფინალისტი ბავშვები სექტემბერში გაემგზავრებიან ამერიკაში ერთ-ერთ ამერიკულ ოჯახში

ორი ფილის გამო ორშვილიან ქალს შესაძლოა პატიმრობა მიუსაჯონ

დასაწყისი პირველი გვერდზე

ხელმწიფო ქონებას ითვისებო”.

როგორც კინტირაია ყვება, ამის შემდეგ აღნიშნული პოლიციის თანამშრომელმა გამოიძახა კრიმინალური პოლიცია და მთელი ორი საათის განმავლობაში „დანაშაულის“ ადგილის დათვალიერება მოახდინეს. მერე კი “ეჭვმიტანილი” გადაიყვანეს სამმართველოში, სადაც მისცა ჩვენება. გამომძიებელმაც უთხრა, რომ ეს იყო დანაშაულებრივი ქმედება პირთა ჯგუფის მიერ, რადგან ის შვილთან ერთად იმყოფებოდა იმ ადგილას. „მე ხელი არ მოვაწერე, სადაც ეწერა, რომ ფარულად მიმქონდა სხვისი ნივთი, რამაც გამომძიებელი ძალიან გააბრაზა. რა ფარულ წაღებაზეა საუბარი, როდესაც დღის 6 საათი იყო და მეზობლისგანაც ხმამაღლა, დაუფარავად ვითხოვე ხელის ურიკა. თავიდანვე ისე წავიდა საქმე, თითქოს ჯიბრში ჩამიდგნენ. მითხრეს, რომ ეს საქმე ასე ადვილად და მარტივად არ მორჩება, ეს არის ქურდობაო“-გვეუბნება ეჭვმიტანილი თუ დაზარალებული.

კინტირაია პროკურატურაში მის მიმართ განხორციელებულ ზემოქმედებასა და და მუქარაზე საუბრობს. როგორც მას პროკურატურაში უთხრეს, მორალი კანონთან ურთიერთშეუთავსებლობაში მოდის.

საქმის წარმოებისათვის კინტირაიას სახაზინო ადვოკატი დაუნიშნეს, რადგან სოციალურად დაუცველი პირია. ჩატარდა წინა სასამართლო მოსმენა განჩინებისთვის, სადაც ეწერა, რომ არსებობს მიმალვის საშიშროება დანაშაულთან განრიდების გამო. როგორც კინტირაია ამბობს მამა ცუდად ყავდა და არ სურდა მამის მდგომარეობა ამ ამბის გაგებით უფრო დაემძიმებინა, ამიტომ პროკურატურის მოთხოვნისამებრ გადაწყვიტა პირობითზე ხელი მოეწერა, მაგრამ ისე მოხდა, რომ საქმის ვითარება შეიცვალა, მან შემდეგ უარი თქვა პირობითზე. მისივე თქმით, სწორედ ამან გამოიწვია პროკურატურის გაღიზიანება, რასაც მუქარა მოყვა, რომ 3 წელს მიუსჯიდნენ და ამას არ შეარჩენდნენ: „თავიდან მამის ჯანმრთელობის გამო მივიღე გადაწყვეტილება, რომ საპროცესოზე წავსულიყავი. მერე დავფიქრდი, რატომ უნდა მეღიარებინა ის, რაც არ ჩამიდენია. საპროცესო შეთანხმება ხომ იგივე აღიარებაა. უფრო მეტად მამის სიტყვებმაც მომცა ძალა. მამამ მაინც გაიგო ჩემი უბედურების შესახებ და მითხრა, რა ამ ამბავს მოვუკლივარ და რა იმას, რომ უდანაშაულო დაგსაჯონო”.

კინტირაიასავე მტკიცებით, სასამართლო პროცესზე პროკურორი ეცადა, დამახინჯებულიყო საქმის არსი: „მეგონა, სხვის ისტორიას ვისმენდი, როდესაც პროკურორი საუბრობდა, თითქოს მე მყავს მეუღლე, ვარ საშუალო განათლების, მყავს ადამიანები, ვინც „მარჩენენ“. სანამ სიტყვის თქმის საშუალება არ მომეცა, მანამდე ამ აბსურდს ვისმენდით. მოსამართლეს მოვახსენე სრული სიმართლე, რომ ვარ განქორწინებული, მარტოხელა დედა, სოციალურად დაუცველი, არ მაქვს სამსახური, რითაც შევძლებ ჩემი შვილების გამოკვებას“.

როგორც კინტირაია ამბობს, მას არ აქვს ელემენტარული ქურდობის მოტივი. აქ არის ფილებზე საუბარი, რომლის ერთი ცალი 10 ლარი ღირს. ორი ფილა აიღო, რის გამოც უნდა მოიხადოს სამი წელი, ან გადაიხადოს ჯარიმა, ან საპროცესო 2 ათას ლარზე დათანხმდეს, რისი საშუალებაც სოციალურად დაუცველს არ აქვს.

როგორც ინგა კინტირაიას ადვოკატი მარლენ კაზანჩი განმარტავს: „კინტირაიას ედავებიან დანაშაულის ჩადენას, რომელიც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის 177 მუხლის პირველი ნაწილით - ქურდობის მცდელობას. ბრალად დებენ, რომ განზრახული ქონდა ორი ფილის მოპარვა, რომელიც შეფასებულია თითო ათ ლარად. ეს შეფასება ექსპერტის მიერ არაა გაკეთებული არამედ გამომძიებლის მიერაა შეფასებული. მე კი ვამბობ, ეს არის ორი ლარის ღირებულების. არსებობს სისხლის სამართლის მეშვიდე მუხლის მეორე ნაწილი, სადაც პირდაპირაა საუბარი, რომ შეიძლება ესა თუ ის ქმედება ქმნიდეს დანაშაულის შემადგენლობის ფორმალურ მსგავსებას, მაგრამ იმის გამო, რომ არ გამოუწვევია არსებითი ზიანი და არ წარმოადგენს დიდ მნიშვნელოვან საქმეს, ასეთი სისხლის სამართლის საქმე არ უნდა იყოს განხილული და უნდა შეწყდეს. მეორე ვარიანტი ისაა, რომ მისაკუთრების მიზანი ამ შემთხვევაში საერთოდ არაა დადგენილი. კინტირაიამ აიღო ფილა და დადო ურიკაზე, მაშინ დაადგა თავზე პოლიცია. მას ეს ფილა იმავე ქუჩაზე 30-40 მეტრში გადაქონდა, რომ სახლთან არსებული გადასასვლელი მოეწყო. ამდენად დანაშაულიც არაა სახეზე. ამ დროს კი მთელი ჩვენი პოლიცია და პროკურატურა ენერგიას და რესურსებს ხარჯავენ არაფრისთვის“.

როგორც ადვოკატი ამტკიცებს, შემთხვევის ადგილზე პოლიციასა და კინტირაიას შორის გაიმართა დავა, ამის გამო სამაგიეროს გადახდის მიზნით შეთხზა ეს პოლიციელმა. პროკურატურაც აყვა მას: “ეს ყველაფერი სახელწიფოებრივი ბოროტებაა. როგორ შეიძლება, ამისთვის ორი შვილის დედა გაასამართლო მაშინ, როდესაც დანაშაულის შემადგენლობა არაა არც ერთ ვარიანტში. მას მისაკუთრების მიზანი არ ქონია”.

დანაშაულზე, რასაც ედავებიან კინტირაიას, 1-დან 3 წლამდე პატიმრობა ან ჯარიმაა დაწესებული. როგორ დამთავრდება სასამართლო პროცესი და სამართლიანობა გაიმარჯვებს, თუ კონკრეტული პირები, მალე გაირკვევა.

იმედია, თემიდა ამ შემთხვევაში თვალგახელილი აღმოჩნდება

შეუწყდება თუ არა ხელშეკრულება პარკირებაზე მომუშავე კომპანიას

ივეტა პაჭკორია
ფოთი

ფოთში პარკირების სისტემა მესამე წელია არსებობს და პარტიებს შორის დავის საგანსაც წარმოადგენდა დროდადრო. მისი ფუნქციონირებიდან რამდენიმე თვეშივე პარტია „ნაციონალური მოძრაობა", შპს "ფოთთან" დაკისრებული მოვალეობის არაჯეროვანად შესრულებისათვის ხელშეკრულების ერთპიროვნულად გაუქმებას მოითხოვდა. ორი წლის შემდეგ თემა კვლავ უცვლელია - „ნაციონალური მოძრაობის" ფოთის საქალაქო ორგანიზაციის ლიდერისა და საკრებულოს წევრ ვახტანგ დარცმელიძეს დღესაც იგივე მოთხოვნა აქვს და მან არსებული ხარვეზებისა და დარღვევების შესახებ საკრებულოს სხდომებზეც არაერთი განცხადება გააკეთა.

დარცმელიძე ადგილობრივი ხელისუფლებისგან "ფოთთან" ხელშეკრულების გაწყვეტას მოითხოვს: „ეს კომპანია ვერ ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას. არ აქვთ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქვითრები, არ არის მონიშნული პარკირების ადგილი სრულყოფილად, არ არის მონიშნული ადგილები შშმ პირებისათვის, არც მიმანიშნებელი ნიშნები, არ დაუყენებიათ კამერები და საერთოდ, რას აკეთებს ეს კომპანია? ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებისათვის ერთპიროვნულად უნდა შეუწყდეს ხელშეკრულება" – ასეთი მკაცრი მოთხოვნა დააყენა დარცმელიძემ ბოლო საკრებულოს სხდომაზე.

შპს „ფოთის" დირექტორი ვაჟა ციკოლია ხელშეკრულების გასაუქმებელ მიზეზს ვერ ხედავს: „ვაკეთებთ ყველაფერს, რაც ხელშეკრულებაშია გათვალისწინებული. პარკირების ადგილების ხელახალი დახაზვისათვის ამინდების დადგომას ველოდებით. რაც შეეხება ქვითრებს, რა თქმა უნდა გვაქვს" - აგვიხსნა ციკოლიამ და 30 თეთრიანი ქვითრები გვაჩვენა. რატომ არ აძლევენ პარკირებაზე მომუშავე ადამიანები საფასურის გადახდისას ქვითარს? ამაზე ციკოლიასე მზა პასუხი გააჩნია, რომ მოთხოვნის შემთხვევაში ყველა თანამშრომელი მისცემს ქვითარს.

ისმის კითხვა - როგორ ახდენენ კონტროლს, რამდენმა ავტომობილმა ისარგებლა პარკირების სისტემით, მაშინ როდესაც არ არსებობს როგორც გავარკვიეთ ამის მაკონტროლებელი სისტემა. ციკოლიასვე თქმით, პარკირებაზე მომუშავე ადამიანს აქვს გეგმა და არიან ზედამხედველები, რომლებიც მათ მუშაობას ამოწმებენ. მიმანიშნებელი ნიშნები კი ყველა ადგილას დგას, როგორც პარკირების დაწყების, ისე დამთავრების ადგილას. რაც შეეხება კამერებს: "მზად ვარ, დღესვე დავაყენო ათამდე კამერა. თუმცა, ამ შემთხვევაში უნდა არსებობდეს სპეციალური მანქანა, რომელიც საქართველოში მხოლოდ თბილისსა და ბათუმს ყავს. ამის გარეშე ვიდეო კამერების დაყენებას აზრი არ აქვს, რადგან კანონდარღვევის შემთხვევაში უნდა მოხდეს მანქანის დაუზიანებლად საჯარიმოზე გადაყვანა".

პარკირებიდან ორი წლის გასვლის მიუხედავად, მძღოლების უმრავლესობამ არ იცის პარკირების ადგილები, რადგან თვითდასაქმებული „სტაიანშიკები" არაპარკირების ადგილას დგანან და მძღოლებისგან ფულს ითხოვენ. რუსთაველის რკალზე მდგარ ორ მოზარდს ჩვენც გავესაუბრეთ. როგორც გვითხრეს, მუშაობდნენ, მაგრამ არც უარყვეს, რომ მუშაობა თვითნებურად დაიწყეს და სპეც ტანსაცმელიც მაღაზიაში იყიდეს. ციკოლიას ამაზეც აქვს პასუხი: „ვიცით, რომ იქ თვითნებურად დგებიან და ჩვენგან აკრძალვის მიუხედავად, შიგადაშიგ მაინც დგებიან. თავად მძღოლებიც უნდა გაფრთხილდნენ".

რაც შეეხება შშმ პირებისათვის განკუთვნილ ადგილს, ციკოლიას პრეტენზია ქალაქის ხელისუფლებასთან აქვს: „მე დატოვებული მქონდა ადგილები შშმ პირებისათვის, დღესაც გავაკეთებ, მაგრამ ვინმემ ხომ უნდა მიმითითოს, სად არის ამ ადამიანებისათვის გადასასვლელი, ამ ადგილამდე ხომ უნდა მოვიდნენ?" ამაში ვერავინ შეედავება, რადგან ფოთში არც ერთ ქუჩაზე ადაპტირებული გადასასვლელი არ არსებობს და ეს თემა გადაუჭრელ პრობლემად იქცა.

ციკოლიას არგუმენტი, ქვითრის მოთხოვნაზე, ბუნდოვანი რჩება, რადგან ვალდებულებების ამღებმა ორივე მხარემ, ამ შემთხვევაში პარკირების ადგილით მოსარგებლემ და პარკირების შემსრულებელმა სამსახურმა, ჯეროვნად უნდა შეასრულონ დაკისრებული მოთხოვნა - ერთმა უნდა გადაიხადოს თანხა, მეორემ კი დამადასტურებელი დოკუმენტი გადასცეს. ნებისმიერი სახის პროდუქტის შეძენისას მყიდველი გამყიდველს ქვითარს არ თხოვს, თუმცა გამყიდველი მას მაინც აძლევს, რადგან არსებობს ვალდებულებები და ზემდგომი ორგანოები, ვის წინაშეც უნდა იყვნენ ანგარიშვალდებულნი. შპს „ფოთის" დირექტორი ვალდებულებების დარღვევას ვერსად ხედავს, ოპოზიცია კი მოთხოვნების რეჟიმშია.

„ჩემი უფლებაა, თავი ვიგრძნო დაცულად„

ქალთა მიმართ ძალადობის საგანგაშო მაჩვენებელი

თეკლე მატკავა
ფოთი

ეროვნული კვლევის ცენტრმა ქალთა მიმართ ძალადობის საგანგაშო მაჩვენებელი გამოაქვეყნა - შვიდი ქალიდამ ერთს ოჯახში ძალადობა გამოუცდია. ქალების 9% სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ბავშვობაში გამხდარა და 5- დან ერთი ქალი ამბობს, რომ სექსუალური შევიწროება განუცდია. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ქალების 22% მიაჩნია, ქალზე ძალადობას აქვს გასამართლებელი გარემოებები, ხოლო მამაკაცების 31 % თვლის, რომ თუ საქმე და გარემოება მოითხოვს, ქალი (ცოლი) უნდა გაილახოს.

რაში ან ვისშია პრობლემა? აღნიშნული საკითხი მეტად მწვავე და სენსიტიური გახლავთ. ქართული საზოგადოებისთვის ნიჰილისტური მიდგომა ასეთი მტკივნეული და გლობალური საკითხების მიმართ ახალი ნამდვილად არ არის. ქალთა მიმართ ძალადობა ჩვენზე გაცილებით მდიდარი (კულტურული თუ ეკონომიკური) სახელმწიფოების დიდი და მოუგვარებელი პრობლემაცაა.

ქალთა მიმართ ძალადობას ფესვები ღრმად აქვს გადგმული საზოგადოებაში. ეს ძირითადად განპირობებულია კულტურული ღირებულებებით, ფასეულობებით და სქესთა შორის ძალების უთანასწორო გადანაწილებით. ეს გახლავთ გლობალური მოვლენა და არა ერთი რომელიმე კონკრეტული რეგიონის პრობლემა. იგი ქვეყნებისათვისაც ძირეულ და მტკივნეულ პრობლემას წარმოადგენს. არ აქვს მნიშვნელობა, რომელი ერის თუ რასის წარმომადგენელი ხარ, არ აქვს მნიშვნელობა, რა ფერის კანი გაქვს ან რომელი სოციუმის თუ ფენის წარმომადგენელი, პოლიტიკის თუ რელიგიის, ქალთა მიმართ ძალადობა, სწორედაც რომ ამ ასპექტში აერთიანებს საზოგადოებას და სახელმწიფოებს. მოძალადე ადამიანი შესაძლებელია იყოს ადამიანი, პიროვნება, რომელიც დიდი ნდობით და სიყვარულით სარგებლობს ქალბატონებში, რომლის ნათელი მაგალითი პირადად ჩემთვის ჩემი მეგობრის, დღეს უკვე ყოფილი მეუღლე გახლავთ. მილიონობით ქალისათვის ყველაზე საშიში ადგილი საკუთარი სახლია. მსოფლიოში უამრავი მაგალითია, როცა ძალადობას საყვარელი ადამიანის მხრიდან განიცდიან. ეს დამახასიათებელია განსაკუთრებით იმ ქვეყნებისთვის, სადაც მამაკაცის უფლებები უფრო წინა პლანზეა წამოწეული.

ქართულ რეალობას დავუბრუნდეთ. რაა ქართული ოჯახი? ქართული ოჯახის მოსაზრება, თითქოს ძალადობა მხოლოდ ცოლ–ქმარს შორის არსებული კონფლიქტის ნიადაგზე წარმოიშობა. ოჯახში ძალადობად ითვლება ოჯახის წევრის მიმართ განხორციელებული: ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური თუ სექსულაური ძალადობა- იძულება.

ოჯახში ძალადობა ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული და გავრცელებული ძალადობის ფორმაა. იგი მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში არსებობს და საზოგადოების ყველა ფენას მოიცავს. ოჯახში ძალადობას ახასიათებს ფარული და გაგნგრძობადი ხასიათი და სპეციფიურია, რადგან ხორციელდება ოჯახის წევრის ან წევრების მიერ სხვა ოჯახის წევრის/ების მიმართ. მცდარია დაუწერელი კანონია, რომ იგი ეფუძნება იმ განსაკუთრებულ ურთიერთობათა ჯაჭვს, რომელიც ოჯახის თითოეულ წევრს აერთიანებს. თუმცა, ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ სტატისტიკის მიხედვით, განცდა, რომ ოჯახი სიყვარულია და სითბოს გამოვლენის ერთ-ერთი საშუალება, უმალვე გაქრება. რეალობაში არსებული "ფრთიანი" გამონათქვამები ნათლად ცხადყოფს ქართველების დამოკიდებულებას ქალთა მიმართ - „ქალი ვიცი მე კუხნაში", „ქალი სუსტი არსებაა ", „ქალის ადგილი სახლშია" და ა.შ. საქართველოში ქალის კულტი მხოლოდ ბრტყელ-ბრტყელ სადღეგრძელოებს შემორჩა და ის, რომ "ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია" და ისიც რომ მე- 12-ე საუკუნეში ჩვენს ქვეყანას ქალი მართავდა და ეს პერიოდი ყველაზე წარმატებულია, მხოლოდ ზოგადად თავმოსაწონებელი თემებია.

ოჯახში ძალადობა ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული და გავრცელებული ძალადობის ფორმაა. იგი მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში არსებობს და საზოგადოების ყველა ფენას მოიცავს. ოჯახში ძალადობას ახასიათებს ფარული და გაგნგრძობადი ხასიათი და სპეციფიურია, რადგან ხორციელდება ოჯახის წევრის ან წევრების მიერ სხვა ოჯახის წევრის/ების მიმართ. მცდარია

გარდა ამისა,2017 წელს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში ქალის მკვლელობის, მკვლელობის მცდელობის, თვითმკვლელობამდე, თვითმკვლელობის ცდამდე მიყვანის 14 შემთხვევაზე დაიწყო საქმის წარმოება. რაც შეეხება შსს-ს სტატისტიკას, მკვლელობის ყველაზე მეტი შემთხვევა თბილისში მოხდა (8), შემდეგ იმერეთსა და რაჭა-ლეჩხუმში (6), სამცხე-ჯავახეთში (2), ქვემო ქართლში (2), სამეგრელო-ზემო სვანეთსა (1) და კახეთში (1). ამავე მონაცემების მიხედვით, ჯანმრთელობის დაზიანების 18 შემთხვევა იყო. ამათგან ყველაზე მეტი კახეთში (5), შემდეგ იმერეთსა და რაჭა-ლეჩხუმში (4), ასევე,

დასასრული 4-გვ.

„ჩემი უფლებაა, თავი ვიგრძნო დაცულად„

ქალთა მიმართ ძალადობის საგანგაშო მაჩვენებელი

დასაწყისი 3-გვ.

ქვემო ქართლში (4), თბილისში (2), სამცხე ჯავახეთში (1), შიდა ქართლსა (1) და სამეგრელო-ზემო სვანეთში (1). რაც შეეხება სხვა ტიპის ძალადობას, შსს-ს სტატისტიკის მიხედვით, სულ საქართველოში ასეთი 816 ფაქტი დაფიქსირდა. ამათგან ყველაზე მეტი - 273 თბილისში. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციითვე, 2017 წელს სულ 2 285 შემაკავებელი ორდერი გამოიცა. უწყების სტატისტიკის მიხედვით, ოჯახში ძალადობის 854 შემთხვევა დაფიქსირდა და აქედან 675-ის, ანუ 79%-ის შემთხვევაში დევნა დაიწყო.

როგორც აღვნიშნეთ, თემა აქტუალობას დღემდე არ კარგავს. ასევე ძალიან მძიმე სურათია შექმნილი ოჯახში ძალადობის სოციალური და სამართლებრივი კუთხით. ჩავატარეთ გამოკითხვა, რას ფიქრობენ ჩვენი თანაქალაქელები ქალთა მიმართ ძალადობაზე და როგორ უნდა ვებრძოლოთ ამ პრობლემას. გამოიკითხა ჩვეულებრივი მოქალაქეებიც და საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურად ჩართული ადამიანებიც, განსხვავებული ასაკის, სქესის და ოჯახური მდგომარეობისა.

გიორგი გვასალია - 23 წლის, ბიზნესისა და ტექნოლოგიის უნივერსიტეტის მაგისტრანტი -„ ნებისმიერი ადამიანის მიმართ ძალადობა დასაგმობია. არ აქვს მნიშვნელობა სქესს, რასას, კანის ფერს თუ სხვა მახასიათებელს. ქალებზე ძალადობა ხშირად ხდება ოჯახებში და ისინი მალავენ ხოლმე ამ ფაქტს. კვლევებმა და დაკვირვებებმა აჩვენეს, რომ საზოგადოებაც ხშირად არ ერევა ხოლმე, როცა ხედავს ქალის მიმართ ძალადობას. პირველ რიგში უნდა გაიზარდოს ქვეყანაში განათლების დონე, რაც ხელს შეუწყობს უფრო განვითარებულად და პროგრესულად მოაზროვნე საზოგადოების ჩამოყალიბებას. კანონი უნდა გამკაცრდეს და თვითონ დაზარალებული ადამიანები აღარ უნდა მოერიდონ მოძალადეების გამომჟღავნებას“.

ხათუნა ბაძაღუა, 49 წლის დიასახლისი - „პირველ რიგში უნდა შეიცვალოს ადამიანის მენტალიტეტი, უნდა გავერთიანდეთ. საზოგადოებამ უნდა მოახერხოს მობილიზაცია ამ პრობლემის ირგვლივ და უნდა დაიცვას მსგავსი შემთხვევებისგან ქალბატონები. საშინელებაა ქალთა მიმართ ძალადობა. როგორ შეიძლება საყვარელ ადამიანზე იძალადო, ზოგი ამას ეჭვიანობით ხსნის, ზოგი ზედმეტი სიყვარულით. არ არის ეს სიყვარული. ეს არის ბოროტება ქალების მიმართ და საკუთარი თავის მიმართ“.

სალომე კუპრეიშვილი, 22 წლის, ახალგაზრდა დედა - „ვფიქრობ, როდესაც დაფიქსირდება ძალადობის ელემენტები ოჯახში, ქალმა უნდა მოახერხოს თავისი უფლებების დაცვა. უნდა მიატოვოს მოძალადე ქმარი. მიმაჩნია, თუ ერთხელ იძალადა შენზე მეუღლემ, ის მეორედაც გაიმეორებს. ალბათ, ძნელია, ადგე და მიატოვო ადამიანი, რომელიც გიყვარს, მაგრამ ვფიქრობ, ასეთ ადამიანთან ცხოვრებას სჯობს, გაცილდე“.

ნუკრი ნაყოფია, 35 წლის - „ ძალადობაა, როდესაც ადამიანს იმას აკეთებინებ, რისი სურვილიც არ აქვს. ანდა, ქალს უნდა სამსახურის დაწყება და ქმარი არ აძლევს უფლებას. არ მესმის ასეთი ადამიანებისა, ყოვლად მიუღებელია ჩემთვის ასეთი დამოკიდებულება. ფიზიკურ ძალადობაზე საუბარიც კი წარმოუდგენელია ჩემთვის. უნდა შეიცვალოს დამოკიდებულებები, ღირებულებები, არსებული რეალობის გადაფასება უნდა მოხდეს”.

ციალა კვერნაძე, 75 წლის, პენსიონერი - „ქალის ცემა არ შეიძლება. მით უმეტეს, ქართველმა კაცმა როგორ უნდა აწიოს ხელი მეუღლეზე, ქალზე. სრულიად გაუმართლებლად მიმაჩნია. ადრე, ჩვენი ახალგაზრდობის დროს, ხშირი იყო ქალზე ძალადობა. ქალები ხმას ვერ იღებდნენ, ვერ ტოვებდნენ ოჯახებს, შვილები ყავდათ, მეზობლის რცხვენოდათ. ახლა ქალები უფრო ძლიერები არიან და უნდა იყვნენ კიდეც“.

მაია ვართაგავა, დიასახლისი ; “ქალზე ძალადობა მხოლოდ სუსტ მამაკაცებს შეუძლიათ, რომელთაც არასრულფასოვნების კომპლექსი აწუხებთ. საქართველოში ოდითგან ქალის კულტია გამეფებული – ქალს აღმერთებდა ქართველი კაცი და ახლაც ასე უნდა იყოს. ქალია სიკეთის, სიყვარულის, სიცოცხლის, სილამაზის, ნაყოფიერების სიმბოლო და რაც მთავარია, ქალები ძალიან ძლიერები არიან. ასე რომ, მათ არ უნდა მისცენ ვინმეს, მათზე ძალადობის უფლება”,

ლილია მეტრეველი; “დედებმა უნდა აღზარდონ შვილები ნამდვილ მამაკაცებად, ქალების და სართოდ, ადამიანების პატივისცემა, სიყვარული ასწავლონ. ადამიანებს სიყვარული დაავიწყდათ და ისჯება საზოგადოება ასეთი პრობლემებით”.

ქალბატონმა, რომელმაც ვინაობა არ დაასახელა - “თავად ვარ ძალადობის მსხვერპლი. წლების განმავლობაში ვითმენდი მეუღლისაგან ძალადობას შვილების ხათრით, მშობლების შიშით – არ იცოდნენ ასეთი სიძე რომ ყავდათ. ვითმინე, სანამ სასიკვდილოდ არ გამიმეტა. განქორწინებული ვარ და ამოვისუნთქე, თურმე მეც ადამიანი ვყოფილვარ. თქვენ გგონიათ, დღეს განქორწინება ადვილია? რატომ მალავენ ქალები და ეგუებიან ასეთ რაღაცეებს? ეშინიათ. საზოგადოებაში გავრცელებული “სირცხვილიას” შიშით და იომენენ, რაც არასწორია. დროა, საზოგადოება ქალების მხარეს დადგეს და არა მოძალადის მხარეს”.

პირველად ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ დუმილი 1970 წლებში დაირღვა, როდესაც გააქტიურდა დასავლეთში ფემინისტური მოძრაობა. ამავე პერიოდში მომზადდა საერთაშორისო თუ ეროვნულ დონეზე მომზადებული კანონმდებლობა, რომელიც მოიცავდა სახელმწიფოს მხრიდან ჩართულობას ქალების დაცვას ძალადობისგან. რამდენად გამართულია ამ შემთხვევაში ქართული კანონმდებლობა ქალთა უფლებების დაცვის მხრივ? ამ პრობლემაზე ვესაუბრეთ „გენდერული თანასწორობის ქსელის“, სამეგრელო-ზემო სვანეთის კოორდინატორს ნონა ხუხაის: „განვითარებულ ქვეყნებშიც არის ძალადობა ქალთა მიმართ. ამბობენ, თითქოს სოციალური პრობლემებიდან გამომდინარეა ეს ყოველივე. სოციალური ფონი მხოლოდ კატალიზატორია, ძალიან ხშირად ეს აჩქარებს და უფრო ავლენს პრობლემას. განვითარებულ ქვეყნებშიც, სადაც ძალიან კარგად განვითრებულია ეკონომიკა, ფინანსურად უზრუნველყოფილია ოჯახები, მაინც არის მოძალადეც და მსხვერპლიც. იმის მტკიცება, რომ ეს პრობლემა ფინანსური და ეკონომიკური ჭრილითაა განპირობებული, არასწორია. თუმცა, მაპროვოცირებელი და დამაჩქარებელი კატალიზატორის ფუნქცია კი აქვს. კვლევებმაც აჩვენა, რომ სტიგმატური მიდგომა და აღქმაა ამ პრობლემის მიმართ. არ ხდება მისი გარეთ გამოდინება, ბევრი რამ არის დამოკიდებული საზოგადოების ინფორმირებულობაზე. უნდა შეიცვალოს მიდგომები ამ პრობლემის მიმართ, მაგალითად მეზობელს აქვს ეს პრობლემა, უნდა დარეკო ასეთ დროს შესაბამის სამსახურში, თუმცა აქვე ჩნდება შიშის ფაქტორი, რომ დავრეკო, ხვალ ის ჩემზე გადმოვა იერიშითო. ამიტომ ანონიმურობა უნდა იყოს დაცული უფრო მეტად. პრობლემა თავშია - ოჯახში, აღზრდაში, სწორი მაგალითებია საჭირო. სკოლებში უნდა ისწავლებოდეს, რომ ძალადობა დასჯადია, რომ შენ თუ იძალადებ შეიძლება შენმა მეზობელმა დარეკოს საპატრულო პოლიციაში და მოახდინოს მოძალადის დაჭერა, მორალური ვალდებულებაა, თუ არ დარეკავ შეიძლება უფრო ლეტარულად დასრულდეს ეს საქმე. მენტალური ტრანსფორმაცია აუცილებლად უნდა მოხდეს. თუმცა მარტო დასჯის შიშით კი არა, ადამიანების სრულყოფილად აღზრდა ხდებოდეს. საერთაშორისო კვლევა არსებობს მოძალადე ადამიანებზე, რის შედეგადაც გამოვლინდა, რომ მოძალადე მუდამ ზრდის მოძალადეს. კვლევებმა აჩვენა, რომ ძალადობა გენეტიკური მახასიათებლით გამოირჩევა. გამოსავალი იმაშია, რომ აუცილებლად უნდა მოხდეს უფრო მეტად ინფორმირებულობა, სხვისი პრობლემის საკუთარი ჭრილით დანახვა და გათავისება, რადგანაც საკითხი მეტად გლობალურია”.

„ახალი რაიონი„ - მუდმივი მიგრანტების თავშესაფარი?!

თეკლე მატკავა
ფოთი

1992–1993 წლებში განვითარებულმა მოვლენებმა, ანუ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ომებმა წარმოშვა ადამიანების ახალი “ფენა” ე.წ „დევნილები“ - ადამიანები, რომლებმაც დაკარგეს ყველაფერი საცოვრებელ ადგილზე და საკუთარი ადგილის საკუთარ სახელმწიფოში, ოღონდ სხვა ადგილას, დამკვიდრებას ცდილობდნენ. სამწუხაროდ, მაშინ სახელმწიფოც სრულიად მოუმზადებელი აღმოჩნდა ამ გამოწვევის წინაშე, ქვეყანამ ვერ შეძლო დახმარების ხელი გაეწია და დახმარებოდა ამ ადამიანებს, რომლებიც წლების განმავლობაში ცდილობენ ღირსეულად, თავიდან დაიწყოთ, ესწავლათ ცხოვრება. სწორედ ეს ადამიანები გახდნენ თავიანთ ქვეყანაში იძულებითი იმიგრაციის მსხვერპლნი. წლების განმავლობაში სხვის საკუთრებაში იყვნენ შესახლებულნი, ზოგი ე.წ „ტურბაზის“ ტერიტორიაზე, ზოგი საბავშვო ბაღებში, ქარხნებში. წლების შემდეგ ამ დასახლებებს დევნილთა დასახლება ეწოდა. როცა ქვეყანა შედარებით დაემსგავსა ცივილიზებულ სახელმწიფოს, ქვეყანამ შეძლო ამ ადამიანებისთვის შეექმნა პირობები, თავი ეგრძნოთ ამ ქვეყნის სრულუფლებიან წევრად. ქვეყანაში გაჩნდა დევნილთა დასახლებები სხვადასხვა ქალაქში, მათ შორის ფოთშიც. ჩვენს ქალაქში დევნილთა დასახლებაში 1 238 ოჯახი ცხოვრობს. აქ დასახლებული დევნილები ძირითადად „ადგილობრივი“ დევნილები არიან, ზოგი ურეკიდან, ზოგიც კი ზუგდიდან ჩამოასახლეს. არიან ისეთი დევნილები, რომლებიც ახლაც აფხაზეთში ცხოვრობენ, აქ კი დაკეტილი ბინები აქვთ. ქალაქში ამ დასახლებას „ახალი რაიონი“ დაერქვა, როგორც იქ - სოხუმში.

ბესო მატკავა-აფხაზეთიდან დევნილი: „აფხაზეთის ომის მონაწილე ვარ. 18 წლის ბიჭი ვიყავი, სახლიდან რომ გავიპარე და გადავწყვიტე სოხუმში ჩავსულიყავი საომარ ხაზზე. ჩემს დიდ ოჯახთან ერთად გალის რაიონის, სოფელ ჭუბურხინჯში ვცხოვრობდი. არავინ იცოდა, რომ სოხუმში მივდიოდი. მატარებლით ვიმგზავრე სოხუმამდე. რომ ჩავედი, სოხუმი იყო დაბომბილი, განადგურებული ქალაქი. 23-ე ბრიგადაში ჩავეწერე რიგით-მსროლელად და სოხუმის დაცემის შემდეგ დავბრუნდი ზუგდიდის ერთ-ერთ სოფელში. ამ პერიოდში ჩემმა, როგორც სხვა დანარჩენმა ოჯახებმა, დატოვეს სოფელი და ზუგდიდში გადმოვიდნენ. გარკვეული დროის შემდეგ ფოთში გადმოვსახლდით. აქედან დაიწყო ჩვენი გაუსაძლისი მდგომარეობა, არ იყო ელემენტარული პირობები, არც წყალი, არც საკვები. „პურის რიგები“ მახსენდება ყველაზე მწვავედ. მარტივად რომ ვთქვა, ჩვენივე ქვეყანაში გავხდით მიგრაციის მსხვერპლნი. წლების შემდეგ ჩემმა ოჯახმა შეძლო დაბრუნება ჩვენს სახლში და რადგან მე ომის მონაწილე ვარ, დღემდე ვერ შევდივარ ჩემს სოფელში. რამდენიმეჯერ მოვახერხე შესვლა „შავი გზით“. დღეს უკვე შეცვლილია მდგომარეობა და წლებია, ვერ ვნახულობ ჩემს მშობლიურ კერას. მშობლები გადმოდიან ხოლმე „აქეთა საქართველოში“. გაგვიჩერდებიან, მოგვეფერებიან და ისევ დაუბრუნდებიან აფხაზეთს. ვიმედოვნებ, რომ საქართველო დაიბრუნებს დაკარგულ ტერიტორიებს და ერთ მთლიანობაში ვიცხოვრებთ ქართველებიც და აფაზებიც“.

ქეთევან აფრასიძე, 93 წლის კოდორის ომის მონაწილე, გულირიფშის რაიონი, სოფელი გენწვიში: „სანამ ის ავადსახსენებელი მოვლენები განვითრდებოდა აფხაზეთში, ვცხოვრობდი ჩემს ოჯახთან ერთად. მყავდა მეუღლე, რომელიც ომის მერე გარდაიცვალა და ერთადერთი შვილი, რომელიც ომმა იმსხვერპლა. ომის დაწყების შემდეგ ჩვენ დაგვატოვებინეს სოფელი და გადმოგვიყვანეს ქუთაისში. მე წამოსვლა არ მინდოდა, მაგრამ ჩემმა ძმებმა და დამანებეს და გამომიშვეს აქეთ. ცოტა ხნის შემდეგ, ისევ დავბრუნდი ჩემს ძმებთან, გაჩაღებული საომარი მოქმედებები მიმდინარეობდა. მკერავი ვარ პროფესიით და ეს საქმე გამომადგა - მეომრებს ვუკერავდი თბილ ტანსაცმელს, პარალელურად სანიტრობაც მიწევდა - დაჭრილ მეომრებს ვუვლიდი, გარდაცვლილებს ვაწესრიგებდი, შუა ხაზზე ვიყავი. ჩემი ერთადერთი შვილის გამო ავიღე ხელში იარაღი, ისიც იბრძოდა სადაც მიდიოდა, მეც იქ მივყვებოდი. ერთ დღეს, 19 მიცვალებული მეომარი მოვაწესრიგე და მივუყვანე მის ჭირისუფალს. საშინელება იყო. დღემდე არ მშორდება ის განცდა, რაც მაშინ მქონდა. იმ დღიდან არ ვარ ამქვეყნად, ზოგს თავი არ ჰქონდა, ზოგს ფეხი. „სნარიადებს“ შუა მოვხვდი და საუბედუროდ, გადავრჩი. ემზარ კვიციანი იყო ჩვენი სარდალი. ბოლოს, საბოლოოდ გამოგვყარეს აფხაზეთიდან და ურეკში მოვხვდით. ახლა კი აქ დაგვასახლეს „ახალ რაიონში“ ერთ ოთახში. მე ომის ვეტერანის პენსია დამენიშნა, თუმცა სააკაშვილის დროს მომეხსნა, რადგან კვიციანის დაჯგუფების წევრი ვიყავი. ერთადერთი შვილიც იმსხვერპლა ამ ომმა, რომელიც თბილისშია დაკრძალული. „იაქესავით“ დავრჩი, ყველა ჩემი ახლობელი გარდაიცვალა და ასე უპატრონოდ ვარ“.

მიუხედავად იმისა, რომ დევნილი მოსახლეობის ნაწილმა მიიღო საკუთარ ქვეყანაში სამუდამო „თავშესაფარი“, მათ მაინც თავიანთ აფხაზეთში სურთ დაბრუნება.

 კვირის ინტერვიუ

სილოვან გვასალია: „დღევანდელი ფოთი ემსგავსება ანტიკურ ფაზისს„

თეკლე მატკავა
ფოთი

ჩვენი რუბრიკის დღევანდელ სტუმართან, ისტორიკოს -არქეოლოგ სილოვან გვასალიასთან საუბარი ფოთის მნიშვნელოვან ასპექტებსა და წარსულთან არსებულ პარალელებზე დავიწყეთ. როგორია ისტორიკოსის თვალით დანახული საქართველოს უახლესი ისტორია და მომავალი:

-ბავშვობიდანვე ისტორია უზომოდ მიყვარდა. დავამთავრე პუშკინის პედაგოგიური ინსტიტუტი (ამჟამინდელი ილიაუნი) პედაგოგიური განხრით და მომენიჭა პედაგოგის სტატუსი. ასპირანტურა უკვე არქეოლოგიის კუთხით დავასრულე. ინსტიტუტის დამთავრებისთანავე დავბრუნდი მშობლიურ ქალაქში და ერთ წელიწადში მუზეუმის დირექტორად დავინიშნე, სადაც 2 ათეული წელი ვიმუშავე - 1991-2004 წლებში. 1960-1990 წლებში განხორციელდა კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიცია, რომელიც მოიცავდა მთელ დასავლეთ საქართველოს, გურიას. ჩემმა პედაგოგმა, ოთარ ლორთქიფანიძემ შემომთავაზა ამ ექსპედიციაში მონაწილეობა, რომ გვეწარმოებინა არქეოლოგიური გათხრები ძველი კოლხეთის ტერიტორიაზე. გავაკეთეთ ექსპედიცია და მოვაგროვეთ მასალები - კოლხეთის მატერიალური კულტურა, რაც შექმნეს კოლხებმა ჩვ.წ.აღ-მდე 3-2 ათასწლეულში. ეს იყო ტიპიური მასალები მთელ დასავლეთ საქართველოში, ჩვენს ზონაზე მდ. რიონის ქვედა წელში და გურიის ტერიტორიაზე. მოვაგროვეთ და დავაბინავეთ მუზეუმში, რასაც დიდი ძალისხმევით მივაღწიეთ. გამოვფინე მოპოვებული მასალები მუზეუმში და ჩავატარე საერთაშორისო სიმპოზიუმი, რომელსაც 45 ქვეყნიდან მოწვეული მეცნიერები ესწრებოდნენ. დიდი ზარ-ზეიმით აღვნიშნეთ ეს მნიშვნელოვანი ფაქტი. პერიოდულად პედაგოგიურ საქმიანობასაც ვეწეოდი სკოლებსა და ინსტიტუტებში, რაც დღეისათვის შეწყვეტილი მაქვს. მუზეუმიდან წამოსვლის შემდეგ, ორი მოწვევის საკრებულოს წევრი ვიყავი. მერე დავაარსე ტურისტული სააგენტო „ნიუ ფაზის თრეველი“, რომელიც აქტიურად მუშაობდა, მაგრამ ამჟამად მუშაობის რიტმი ცოტა მოდუნდა. ფოთში თუ არ განვითარდა ტურისტული ინფრასტრუქტურა, ტურიზმის განვითარებაზე საუბარი ზედმეტია.

-ფოთი ისტორიული მნიშვნელობა...

-ფოთის ძირი უკავშირდება ანტიკურ ფაზისს, მდინარე რიონს. ეს არის მდინარე „ღვთაება“. პირველი ეპილაფიური ნაწარმოები, რომელიც შეიქმნა მსოფლიოში, ჰესიდონეს თეოგენია გახლავთ, რაც ნიშნავს ღმერთების წარმოშობას. მეორე საუკუნის მწერალ თეოგენეს აღწერილი აქვს მსოფლიოს 5 მდინარე - ტიგროსი, ევფრატი, ნოფრეტი, ნილოსი და თქვენ წარმოიდგინეთ ფაზისი. ესაა მდინარე რომელსაც ამხელა სტატუსი აქვს, აყალიბებს ამ ქალაქის ინფრასტრუქტურას, რელიეფს, ქმნის კუნძულებს. კუნძული კოლიმბარი პირდაპირ კავშირშია ანტიკურ ფაზისთან. დღესაც რომ ჩაატარო არქეოლოგიური სამუშაოები, პირდაპირ ამოდის არქეოლოგიური მასალა. ეს არის ბიზანტიური პერიოდი, როდესაც ფაზისი ფაზისობდა ჩვ. წ.აღ. 6-5 საუკუნე. რატომ გაქრა ფაზისი? იმიტომ რომ, ფაზისმა დაკარგა თავისი ფუნქცია. ანტიკური ფაზისის გაქრობას ხელი შეუწყო თავისი სტატუსის დაკარგვამ. იყო სავაჭრო ქალაქი, მიმდინარეობდა სასწავლო პროცესი, არსებობდა უნიკალური ფაზისის რიტორიკული აკადემია. იუსტინე კეისარმა გააუქმა რიტორიკული ფილოსოფიური აკადემია, რომელიც გავლენა იყო ბიზანტიური და ე.წ ბიზანტიური ცოდნის, რომლის სათავე სწორედ ბიზანტიიდან მოდის. რიტორიკული აკადემია რომაელების დაარსებული იყო, ისინი ისეთ ქვეყნებში აარსებდნენ, სადაც ვაჭრობა განვითარებული იყო. ჩვენი ქალაქის ისტორია უძველეს და საინტერესო პერიოდს მოიცავს და იმ პერიოდის გავლენა დღესაც იგრძნობა. მაგალითად, რომაელები მეზღვაურები იყვნენ და აღმოსავლეთ რომის იმპერია ბერძნულად საუბრობდა. ამიტომ შემორჩა ფოთის ტერიტორიაზე რომაულ-ბერძნული ტერმინოლოგია. მაგალითად, მალთაყვა რომაულად (მულტი აქვა) ნიშნავს - ბევრი წყალი, პალიასტომი (პალეოს ტომოს) - ძველი უპე.

ფოთი მაგონებს ანტიკური ფაზისის ბედს. ქალაქს თუ არ მიაქციეს შესაბამისი ყურადღება, იგივე ბედი მოელის. დღევანდელი ქალაქის პარალელს სწორედ უძველეს ფაზისთან ვავლებ. ქალაქი ცარიელდება, დინამიკა იკლებს, მრეწველობა არ არსებობს. ესე იგი, ქალაქი მიდის სტაგნაციისკენ. ეს განიცადა ფაზისმაც. ქალაქს არსებობისთვის სტატუსი ესაჭიროება. არანაირი სტატუსი არ აქვს ჩვენს ქალაქს მიუხედავად იმისა, რომ დამოუკიდებელი, მუნიციპალური მმართველობის თვითმმართველი ქალაქია. ქვეყანაში ხუთი თვითმმართველი ქალაქია და მათ შორისაა ფოთი, რომელსაც სოფლები არ აქვს. ხოლო დანარჩენი ქალაქები რეგიონალური ცენტრებია. თითქოს სანავსადგურო ქალაქია, მაგრამ არც ნავსადგური გვაქვს. ქალაქმა დაკარგა სტატუსი განვითარებისათვის. ვფიქრობ, საგანმანათლებლო ცენტრი განვითარდეს, როდესაც ჯერ კიდევ 1918-1921 წწ. ფოთში არსებობდა მმართველობითი ცენტრი, რისი მეშვეობითაც იმართებოდა დასავლეთ საქართველოს, გურიის საგანმანათლებლო დაწესებულებები. ასევე, ძალიან მნიშვნელოვანი იყო ფოთში საპატრიარქოს რეზიდენციის დაარსება. სახელმწიფოში იყო მხოლოდ სამი ეპარქია - თბილისის, იმერეთის და გურია-ოდიშის, რომელსაც სათავეში ედგნენ მამა-შვილი მეუფე ალექსანდრე და ლეონიდე, რომელიც შემდგომ გახდა საქართველოს კათალიკოს - პატრიარქი კირიონ მეორის შემდგომ.

ნიკო ნიკოლაძე ფენომენალური მოვლენაა მთლიანად ქვეყნისთვის, რომელიც უშუალოდ კავშირშია ფოთთან და მის განვითარებასთან. ამ უდიდესმა სახელმწიფო მოღვაწემ დიდი როლი ითამაშა ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვებაში, მიუხედავად იმისა, რომ არ ჩანს პირველ პლანზე. 1918-1921 წწ ქალაქ ფოთში მოაწერეს ხელი დამოუკიდებლობის აქტს, რაც, ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენაა ქალაქისთვის.

-საქართველოს უახლესი ისტორია

-ჩვენ რა უბედურება გვჭირს, იცი? ისტორია იცით როგორი რამ არის? თუ არ სწავლობ ისტორიას და არ იღებ მისგან მაგალითებს, მეორედ გიბრუნდება - „ბუმერანგის პრინციპია“. გვიბრუნდება და გვსჯის. ისტორია გამოცდილება გახლავთ. მას აქვს ისეთი მეთოდები, რომლის მეშვეობითაც უნდა შეგვეძლოს გამოცდილების განზოგადება და მისი მორგება თანამდროვეობაზე. კარგი ანალიზი უნდა გაკეთდს და კარგი გადმოვიტანოთ. მაგალითად, 2008 წლის ომი, 1918-1921 წლები, როდესაც მივიღეთ კონსტიტუცია, რომლითაც დღესაც ვხელმძღვანელობთ. ასე რომ იყოს, 2008 წლის კონფლიქტი არ მოხდებოდა. იმ პერიოდში სასულიერო მმართველობას და მხედრობას შორის ცივი დამოკიდებულება იყო. თუმცა, ნიკო ნიკოლაძის მოღვაწეობისას, მეუფე ლეონიდე მერე უკვე საქართველოს კათალიკოს პატრიარქი გახლდათ. კაცური და ღვთიური ერთმანეთს ერწყმოდა და ამიტომ აღწევდა ნიკოლაძე წარმატებას. სასულიერო ცენტრიც იყო და ნიკო ნიკოლაძემ მოახერხა „სინერგია“ -ადამიანური და ღვთიური ძალების შერწყმა. დღესაც ასე უნდა მოხდეს. თუმცა, ვფიქრობ, რომ სასულიერო და საერო ხელისუფლება გაყოფილი უნდა იყოს, მაგრამ წინსვლისთვის საჭიროა ვისწავლოთ და გამოვიყენოთ ძველი, კარგი გამოცდილება.

-თაობები იცვლებიან, ღირებულებები გადაფასდა, რა რჩება და რა იცვლება?

- ჩვ. წ.აღ-მდე 10 საუკუნის ამბავია - ძველ ეგვიპტეში გახსნეს ერთ-ერთი პირამიდა, სადაც გრაგნილზე ეწერა - „რა ცუდი თაობა წამოვიდა, ჩვენს პერიოდში სულ სხვა თაობა იყო, უფრო კარგი“. ეს მარადიული თემაა, ასე ვთქვათ „თაობათა ბრძოლა“. იცვლება დრო, იცვლება ტექნოლოგიები. მაგალითად, ისეთმა ფენომენმა, როგორიცაა ელექტრონული საშუალებები, ციფრული ტექნოლოგიები, ინტერნეტი, ძალიან შეცვალა თაობები. ტექნიკის განვითარება საერთოდ ცვლის ურთიერთობებს. ბუნებრივია, თაობებს შორის ჩნდება გარკვეული გაუგებრობები - ახალ თაობას სულ სხვა ინტერესები აქვს, თანამედროვე სამყაროში ინტეგრირებულია, მაგრამ მარადიული ფასეულობებიც არსებობს, რაც არ უნდა გადაფასდეს. განვითარებაა და არა დეგრადაცია.

-საზოგადოება უკეთესი საზოგადოებისათვის...

- რატომ მოხდა რომ ძველი საბერძნეთის კულტურა არის საწყისი ყველა კულტურის. მანდ ჩამოყალიბდა ფიზიკა, ფილოსოფია, არქიმედე, მუსიკა, თეატრი, ანტიკური ფილოსოფია, ლიტერატურა, მედიცინა, ყველაფერი რაც ღირებულია, ფასეულია შეიქმნა მანდ. რატომ? გასკდა ყველაფერი და ამოიყარა საბერძნეთში, რა იყო ამის ინსპირაცია?

- საზოგადოება! თავისუფალი ადამიანი ცხოვრობდა თავისუფალ სახელმწიფოში, თვითონ აკეთებდნენ არჩევანს, თვითონ ირჩევდნენ მმართველებს. დემოკრატიის სათავეც იქედან მოდის. თავისუფალი პიროვნება თავისუფალ სახელმწიფოში - ეს თუ დაკარგა ადამიანმა, მიიღებს რუსეთს, პუტინიზმს. თუ საზოგადოება თავადაა ჩართული საზოგადოების ცხოვრებაში და თვითონ მოიპოვებს ქვემოდან ზემოთ, დემოკრატიაა, რაც საფუძველთაგან საფუძველია ქვეყნის განვითარებისათვის.

-როგორ ფიქრობთ, რატომ არ ხართ ამ ეტაპზე წარმატებული პოლიტიკოსი?

-პოლიტიკა ასეა - ხან წარმატებული ხარ, ხან არა. რატომღაც ამ ეტაპზე ავცდით მე და პოლიტიკა ერთმანეთს. პოლიტიკა იმიტომაა კარგი, რომ გაქვს შესაძლებლობა, უკეთესობისკენ შეცვალო არსებული. უნდა გქონდეს კარგი პოლიტიკური პროგრამა, ხედვა და მისი განხორციელების საშუალება.

მძღოლთა საყურადღებოდ: 2006 წლის 1 აპრილამდე გაცემული მართვის მოწმობები ძალაში რჩება 2018 წლის 1 აპრილამდე

მძღოლთა საყურადღებოდ: 2006 წლის 1 აპრილამდე გაცემული მართვის მოწმობები ძალაში რჩება 2018 წლის 1 აპრილამდე

2006 წლის 1 აპრილამდე საქართველოში გაცემულ მართვის მოწმობებს იურიდიული ძალა შეუნარჩუნდებათ 2018 წლის 1 აპრილამდე. მართვის მოწმობის შესაცვლელად მომსახურების სააგენტოს ნებისმიერ ფილიალში მოქალაქემ უნდა წარმოადგინოს: ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა, პირადობის დამადასტურებელი მოწმობა და არსებული მართვოს მოწმობა.

მართვის მოწმობის შეცვლის ღირებულებაა 15 ლარი, დაკარგულის აღდგენის შემთხვევაში კი 35 ლარი ასევე აღსანიშნავია, რომ იმ მართვის მოწმობებს, რომლებიც აღებულია 2016წლამდე, თუმცა შეცვლილია 2006 წლის შემდეგ, იურიდიულიძალა უნარჩუნდებათ და არ არის საჭირო მათი გამოცვლა. მნიშვნელოვანია, რომ იმ შემთხვევასი თუ მოქალაქემ 1აპრილამდე ვერ შეცვალა მართვის მოწმობა, ავტომობილის მართვა შეეძლება მხოლოდ მას შემდეგ, რაც მართვის მოწმობას შეცვლის, წინააღმდეგ შემთხვევაში 500ლარიანი ჯარიმა დაეკისრება.

მოქალაქეები მართვის მოწმობის შესაცვლელად 2018 წლის 1აპრილის შემდეგაც არ ჩააბარებენ არც თეორიულ და არც პრაქტიკულ გამოცდას.

გაზეთი ,,მთავარი თემა სამეგრელოში,, აცხადებს კონკურსს ქალბატონებისათვის სახელწოდებით ,,წარმატებული ქალი 2018,,

ძვირფასო ფოთელებო ჩვენი გაზეთის მეშვეობით გეძლევათ შესაძლებლობა თავად აირჩიოთ წარმატებული ქალი. ამისთვის გთხოვთ მოგვაწოდოთ ინფორმაცია იმ ქალბატონების შესახებ, ვინც ნებისმიერ სფეროში წარმატებული საქმეებით გამოირჩევიან. რჩეულთა კანდიდატები შეგიძლიათ მოგვაწოდოთ რედაქციაში, ან დაგვირეკეთ, გამოგვიგზავნეთ ელექტრონულ ფოსტაზე:
mtavaritsamegrelshi@gmail.com
წარმოდგენილი კანდიდატების შერჩევა მოხდება კონკურსის სახით. გაზეთში დაბეჭდილი სპეციალური ბლანკის მეშვეობით გამოვლინდება წარმატებული ქალი.

ამჯერად გთავაზობთ კონკურსანტ ქალბატონს მაია კორკელიას

,,ხელოვნება საწყისია ყოველგვარი ესთეტიკის,,

თეკლე მატკავა
ფოთი

პროფესიით ბიოლოგი, სრულიად სხვა სამყაროში უცაბედად და მოულოდნელად ხვდება. ამის შემდეგ ცხოვრება მას სთავაზობს სიურპრიზებით და მშვენიერებებით სავსე მომავალს. თუმცა მანამდე იყო ლენინგრადი და გერცენის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი, სადაც განათლება მიიღო საბუნებისმეტყველო განხრით.

მუშაობდა ერმიტაჟის მუზეუმში, რომელიც მსოფლიოს კულტურის, ისტორიის და ხელოვნების უმსხვილესი მუზეუმია. გამოფენილია რენესანსის პერიოდის შემოქმედება. სადაც წარმატებული სტუდენტებისგან შემდგარი ჯგუფი მუზეუმში მისულ დამთვალიერებს წარმოუდგენდა და ამოგზაურებდა რენესანსის პერიოდში. როგორც თვითონ აღნიშნავს, ამან ძალიან დიდი გამოცდილება მისცა და გავლენა მოახდინა მასზე, როცა სამხატვრო სასწავლებელში დაიწყო მუშაობა. 1987 წელს ჩამოვიდა ქალაქში და მუშაობა დაიწყო ქალაქის ცენტრალურ საავადმყოფოში ბიოქიმიკოსად. საავადმყოფოს შემდეგ იყო პირველი საჯარო სკოლა, სადაც სამი წლის განმავლობაში ბიოლოგიის პედაგოგად მოღვაწობდა, სკოლის დატოვების შემდეგ იწყება მის ცხოვრებაში ხელოვნებასთან მჭიდრო კავშირი, რომელიც, როგორც ამბობს, მრავალსახოვანი, მრავალშრიანი და მარადიულია, ხელოვნება ხომ საწყისია ყოველგვარი ესთეტიკის: „ბედისწერას დავარქმევდი ჩემს დღევანდელ ცხოვრებას, სრულიად დაუგეგმავად და მოულოდნელად შემოიჭრა ჩემს ცხოვრებაში სამხატვრო სკოლა. 1997 წელს დაარსდა სამხატვრო სასწავლებელი, აკაკი ჩხაიძე იყო ამ სასწავლებლის ხემძღვანელი და შემომთავაზა სასწავლებლის სასწავლო ნაწილის თანამდებობა. რა თქმა უნდა, სიამოვნებით დავთანხმდი. ამ დროს უკვე სკოლიდან წამოსული ვიყავი. სრულიად ახალგაზრდა, გამოუცდელი ჩავები ძალიან სხვა სფეროში, მაგრამ როგორც ბრძენი ფილოსოფოსი აბობს – “ არასოდეს თქვა არასოდეს”. ჩემი გამოცდილებიდან ვიცი. პარალელურად ვასწავლიდი პლასტიკურ ანატომიას. პლასტიკური ანატომიაა ჩემი პროფესიის განხრა, რომელიც ითვლება პრაქტიკულ მეცადინეობად მხატვრებთან. ასეთი სასწავლებელი საქართველოს მასშტაბით 26 იყო და ჩვენს ქალაქში 2. ერთი ჩვენი სასწავლებელი, რომელიც სულ ახალი დაარსებული იყო და მეორე არჩილ ხორავას მუსიკის სასწავლებელი, რომელსაც 35 წლიანი არსებობის ისტორია ჰქონდა. მოხდა ისე, რომ 2006 წელს კულტურის სამინისტრომ გააუქმა საშუალო რგოლი და გაერთიანდა მუსიკალური და სამხატვრო სასწავლებლები. მიუხედავად იმისა, რომ ორივე ხელოვნების დარგია, განსხვავებული სპეციფიკით და მახასიათებლები გააჩნიათ. 2008 წელს ადგილობრივმა თვითმმართველობამ გამოყო ეს ორი სასწავლებელი და დავფუძნდით აიპად. ძალიან რთული პერიოდი და გზა გამოვიარეთ, რეანიმაციის რეჟიმში ვიმუშავეთ. ბევრი რამ შეიცვალა, გადავკეთდით 3 წლიან სასწავლებლად, შეიცვალა დებულება, პროგრამები, რომლის ავტორიც თავად ვარ. მაგრამ ჩვენი პრინციპი - ხელოვნება ბავშვებისთვის - არ დაგვიკარგავს, ვასწავლით ბავშვებს მივიწყებულ ხალხურ დარგებს, ხალხური რეწვის დარგებს, ეს არის ჩვენი მთავარი, რაზეც ვმუშაობთ. ახალი დარგები არ შეგვიქმნია, იგივე დავტოვეთ, რაც 2006 წლამდე იყო. ეს არის კერამიკა, ხის მხატვრული დამუშავება, მხატვრული ქსოვის ფაკულტეტი, მხოლოდ ტანსაცმლის მოდელირება დავამატეთ, რომლის ელემენტად ისევ ხალხური მოტივები ავირჩიეთ“.

-ამბავი, რომელიც მუდამ თქვენი თანმხლები და თანამგზავრია, რომელმაც ღრმა კვალი დატოვა და გავლენა იქონია თქვენზე...

- პირველ რიგში გავიხსენებ ადამიანს, რომელმაც ხელოვნებისკენ მიმავალი გზა გამიკვალა. აკაკი ჩხაიძე უდიდესი პიროვნება იყო, სამართლიანი და თბილი. მას დიდი მადლი ჰქონდა, მასთან ურთიერთობით უამრავი რამ ვისწავლე, შემიცვალა აზროვნება, მიდგომა. თითქმის შვიდი-რვა წელი გავატარეთ ერთად. ასაკში მყოფი ადამიანი უფრო ახლობელი იყო ჩემთვის, ვიდრე სხვა რომელიმე ჩემი ნათესავი. მან მასწავლა, რომ სამსახურში არ არის კოლექტივი, ეს პატარა ოჯახია – “მე დავაარსე, მაგრამ თქვენ ხართ ახალგაზრდები, ახალი ძალა ხართ და ყველაფერი გააკეთეთ, რომ ეს სასწავლებელი გახდეს მცირე აკადემიაო” - ეს იყო მისი ოცნება, მოთხოვნა, თხოვნა და საერთოდ ყველაფერი.

ისტორია, რომელიც მახსენდება, სასწავლებელთანაა დაკავშირებული. ბატონი აკაკი ჩხაიძე ქალაქიდან გადიოდა და მთხოვა, ჩემს მაგივრად გტოვებო. ამ დროს ახალი მისული ვარ, მოსწავლეებზე იმდენი გავლენა არ მქონდა. შევედი აუდიტორიაში, რომ გაკვეთილი ჩამეტარებინა, კლასში საშინელი ხმაური იყო, ბავშვებიც ჩემგან ზურგშექცევით იყვნენ. მე დავდექი და დავიწყე ძალიან ხმადაბალი ტემბრით საუბარი ისე, რომ თავად მეც არ მესმოდა ჩემი საუბარი. ცოტა ხანში ბავშვებმა ეტაპობირივად დაიწყეს ჩემსკენ შემობრუნება და შუა გაკვეთილის დროს უკვე ჩემი ხმაც გავიგონ და სიჩუმემაც დაისადგურა. ამის მერე ჩამოყალიბდა ჩვენს შორის ურთიერთპატივისცემა.

-დევიზი, რითაც ხელმძღვანელობთ კარიერულ და პირად ცხოვრებაში?

- არასოდეს მოვატყუო ადამიანი. ვთქვა მხოლოდ სიმართლე. როდესაც ჩემს ნაბიჯებს ვუფიქრდები, ძალიან მიადვილდება, ამის ფონზე წინ წასვლა.

- ოცნება, რომელიც დღემდე განუხორციელებელია...

- ოცნება, რომელიც დღემდე მაქვს არ არის მარტო ჩემი, ეს იყო და არის სასწავლებლის ფეხზე დაყენება და გადაქცევა მცირე აკადემიად. მთელი ამ პატარა ოჯახის ოცნებაა, რომ სასწავლებელი იყოს ისეთი ძლიერი როგორიც შინაარსობრივად არის, გვჭირდება კარგად გამართული ინფრასტრუქტურა, ეს დაგვრჩა მხოლოდ მოსაწესრიგებელი. მე ვამაყობ თითოეული თანამშრომლით, რომელთაგან უამრავი რამ შევისწავლე.

- ოჯახი და კარიერა

- ყველას აინტერესებდა, როგორ ვახერხებდი და ვათავსებდი სამსახურსა და ოჯახს. ძალაუნებურად ყველაფერს ისე ვაკეთებდი, რომ ოჯახსაც ვაქცევდი ყურადღებას და სამსახურსაც. გვერდში მედგნენ ჩემი მეუღლე და ოჯახის დანარჩენი წევრებიც. ამბობენ ბიჭების დედობა

რთულიაო, მიჭირდა მაგრამ ურთიერთშეთანხმებით მივაღწიე საუკეთესო ბალანს.

- სად, ხედავთ თქვენს თავს წლების შემდეგ?

- არ მიფიქრია ამაზე არასოდეს. სად შეიძლება ვიყო? ალბათ, ისევ აქ რიგით პედაგოგად. ალბათ გავლენა არის პედაგოგი დედის. (იღიმის)

- გზა, რომელიც დღემდე გაიარეთ.

- ვიტყვი, რომ არ მრცხვენია. ამაყი ვარ, სიმართლით გავიარე ჩემი ცხოვრება, ტყუილის გარეშე. ძალიან ბევრი მეგობარი და კარგის მსურველი მყავს, ვარ დაფასებული ჩემი თანამშრომლებისგან და მოსწავლეებისგან. ნულიდან რომ დავიწყო ცხოვრება, ისევ ამ გზას გავივლიდი.

- რას ურჩევდით ქალებს?

- ახლა გაზაფხულის პირველი თვეა, ულამაზესი. სილაღეს ვუსურვებდი, ღიმილს. მინდა, ისეთივე მშვენიერნი იყვნენ, როგორც გაზაფხულია, გაზაფხული სიცოცხლის საწყისია.

კონკურსი
,,წარმატებული ქალი,,

კონკურსანტის სახელი და გვარი

ჩვენი მისამართი: ფოთი, 26 მაისის 7

კონკურსი
,,წარმატებული ქალი,,

კონკურსანტის სახელი და გვარი

ჩვენი მისამართი: ფოთი, 26 მაისის 7

კონკურსი
,,წარმატებული ქალი,,

კონკურსანტის სახელი და გვარი

ჩვენი მისამართი: ფოთი, 26 მაისის 7

საქართველოს ჩემპიონატის დასავლეთ ზონის 1-ლი ლიგის ტურნირები ჭადრაკში

4-10 მარტს ფოთის საჭადრაკო კლუბში ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატის დასავლეთ ზონის 1-ლი ლიგის ტურნირები 8, 10 და 12 წლის ჭაბუკთა და გოგონათა შორის. ჩემპიონატში მონაწილობდა ფოთის, ქუთაისის, ბათუმის, ზუგდიდის, ოზურგეთის, სენაკის, ხობის, ხონის, ლანჩხუთის 102 მოჭადრაკე. ჩემპიონატი ფოთის საჭადრაკო კლუბის მოჭადრაკეთა ტრიუმფით დასრულდა. ექვსივე ტურნირში ფოთელმა მოჭადრაკეებმა გამარჯვებით იასპარეზეს.

8 წლის ჭაბუკთა შორის:
I ადგილი - დემეტრე კაკულია (ფოთი),
II ადგილი - ანდრია კიკაბიძე (ოზურგეთი),
III ადგილი - იოსებ შამათავა (სენაკი).

8 წლის გოგონათა შორის:
I ადგილი - ბარბარე კულუა (ფოთი),
II ადგილი - ნია ჭითანავა (ფოთი),
III ადგილი - მარიამ ვადაქარია (ფოთი).

10 წლის ჭაბუკთა შორის:
I ადგილი - გიორგი კვარაცხელია (ფოთი),
II ადგილი - თენგიზ თოიძე (ოზურგეთი),
III ადგილი - ალექსანდრე გარუჩავა (ფოთი).

10 წლის გოგონათა შორის:
I ადგილი - ანა სანიკიძე (ფოთი),
II ადგილი - მარიამ სარიშვილი (ლანჩხუთი),
III ადგილი - ლიზი სარიშვილი (ფოთი).

12 წლის ჭაბუკთა შორის:
I ადგილი - თეიმურაზ კვიკვინია (ფოთი),
II ადგილი - კახაბერ კიზირია (ფოთი),
III ადგილი - მათე სილაგაძე (ხონი).

12 წლის გოგონათა შორის:
I ადილი - ლიზი ფოჩხუა (ფოთი),
II ადგილი - მარიამ ჩხაიძე (ლანჩხუთი),
III ადგილი - ანა მეგრელაძე (ოზურგეთი).

საპრიზო ადგილებზე გასული მოჭადრაკეები დაჯილდოვდნენ თასებით, მედლებითა და დიპლომებით. 1-5 ადგილებზე გასულმა მოჭადრაკეებმა მოიპოვეს შესაბამისი ასაკის საქართველოს ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის საგზურები, რომელიც ამავდროულად არის მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების შესარჩევი ტურნირი.

ჩემპიონატი ჩატარდა საქართველოს ჭადრაკის ფედერაციისა და ფოთის საჭადრაკო კლუბი "ნანა"-ს ორგანიზებით.

იაგო კიზირია საუკეთესო მოკრივის თასის მფლობელია

5-12 მარტს ყაბარდო ბალყარეთის ქალაქ ნალჩიკში გაიმართა საერთაშორისო „ა" კლასის ტურნირი კრივში, სადაც საქართველოს ნაკრებიდან მონაწილეობდა 4 მოკრივე: გელა აბაშიძე (ბათუმი), გიორგი დოლიაშვილი (გორი), მიხეილ ბახტიძე (ქუთაისი), იაგო კიზირია (ფოთი).

ფოთელმა იაგო კიზირიამ 81 კგ წონით კატეგორიაში მოიპოვა II ადგილი და გადაეცა საუკეთესო მოკრივის თასი. ასევე, გიორგი დოლიაშვილმა მოიპოვა II ადგილი, ხოლო გელა აბაშიძემ - I ადგილი.

იაგო კიზირიას მწვრთნელი გახლავთ ილიმპიადის პრიზიორი ვლადიმერ ჭანტურია.

„გეზრბენი ფოთის სკოლებს შორის

16 მარტს 9 აპრილის ხეივანზე გაიმართა სასკოლო სპორტული ოლიმპიადის პროგრამით გათვალისწინებული ფოთის პირველობა „გეზრბენში" საჯარო სკოლის მოსწავლე გოგონათა და ვაჟთა შორის.

ვაჟთა შორის I ადგილი მოიპოვა 11 საჯარო სკოლამ, II ადგილი -- 4 საჯარო სკოლამ, III ადგილი -- 3 საჯარო სკოლამ.

გოგონათა შორის I ადგილი მოიპოვა 8 საჯარო სკოლამ, II ადგილი -- 11 საჯარო სკოლამ, III ადგილი -- 5 საჯარო სკოლამ.

ფოთის პირველობა მინი კალათბურთში

რამდენიმე დღის წინ, საკალათბურთო დარბაზში გაიმართა სასკოლო სპორტული ოლიმპიადის პროგრამით გათვალისწინებული ფოთის პირველობა მინი კალათბურთში (3X3) 2002-2004 წლებში დაბადებულ საჯარო სკოლების მოსწავლე გოგონათა და ვაჟთა შორის.

ვაჟთა ასპარეზობაში გამარჯვება მოიპოვეს 15 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა, მე-2 საპრიზო ადგილი - 3 საჯარო სკოლამ, ხოლო მე-3 საპრიზო ადგილი - 5 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა.

როგორც ვაჟებში, აგრეთვე გოგონათა ასპარეზობაში პირველობა არავის დაუთმეს 15 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა, რომლებმაც მოიპოვეს რეგიონალურ პირველობაზე მონაწილეობის უფლება, რომელიც გაიმართება ზუგდიდში, 17 მარტს. მე-2 საპრიზო ადგილი მოიპოვეს 2 საჯარო სკოლის გოგონებმა, ხოლო მე-3 საპრიზო ადგილი - 3 საჯარო სკოლამ.

სასკოლო სპორტული ოლიმპიადის პროგრამით გათვალისწინებული ფოთის პირველობა ხელბურთში

13-14 მარტს საკალათბურთო დარბაზში გაიმართა სასკოლო სპორტული ოლიმპიადის პროგრამით გათვალისწინებული ფოთის პირველობა ხელბურთში 2002-2004 წლებში დაბადებულ საჯარო სკოლების მოსწავლეთა შორის.

გოგონათა შორის I ადგილი მოიპოვა 2 საჯარო სკოლამ (სპორტის მასწავლებლები დარეჯან გეფერიძე და ირინა ჩარგაზია), II საპრიზო ადგილი - 3 საჯარო სკოლამ (სპორტის მასწავლებლები ლორენა ალანია, ნათია დუდუჩავა და თენგო გუჯაბიძე), ხოლო III საპრიზო ადგილი - 8 საჯარო სკოლამ (სპორტის მასწავლებლები ნანა ტორჩინავა-გვასალია და ნაზი ჟღენტი). როგორც გოგონათა, ასევე ვაჟთა ასპარეზობაში პირველობა არავის დაუთმეს 2 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა (სპორტის მასწავლებლები დარეჯან გეფერიძე და ირინა ჩარგაზია), II საპრიზო ადგილი მოიპოვა 15 საჯარო სკოლამ (სპორტის მასწავლებლები ლამზირა კუცია და გივი ცხომარია), III საპრიზო ადგილი - 3 საჯარო სკოლამ (სპორტის მასწავლებლები ლორენა ალანია, ნათია დუდუჩავა და თენგო გუჯაბიძე).

რეგიონალურ პირველობა, გაიმართება ზუგდიდში, 19 მარტს

მოვლილი ხელები ქალის სახეა

ალბათ, დამეთანხმებით, რომ ხელები ქალისთვის ერთ-ერთი სავიზიტო ბარათია. თითქმის ყველა ჩვენგანი ოცნებობს ნაზ კანსა და ნატიფ თითებზე...

ლამაზ ხელებს განსაკუთრებული მოვლა და ყურადღება სჭირდება. მითუმეტეს თუ გავითვალისწინებთ რამდენი საოჯახო ან სამსახურის საქმის შესრულება გვიწევს, ყოველდღიურად...

ბაქტერიების ყველაზე დიდი რაოდენობაც სწორედ ხელებზე, განსაკუთრებით კი ფრჩხილებში იყრის თავს. ფრჩხილებთან დაკავშირებით, უამრავი სხვა საზრუნავიც გვაქვს:

ჯანმრთელი ფრჩხილები უნდა იყოს მკვრივი, ელასტიური და ვარდისფერი. ხშირად ფრჩხილების დაზიანება ჯანმრთელობის სხვადასხვა პრობლემაზეც მიგვითითებს. ფერის ცვალებადობა შესაძლოა გამოიწვიოს საკვებმა, არასწორმა მოვლამ ან რომელიმე კონკრეტულმა საქმიანობამ.

აუცილებელია ფრჩხილების ვიტამინებით მუდმივი კვება.

ვიტამინი — საჭიროა ფრჩხილის ზრდისა და სიმაგრისთვის. მას შეიცავს ღვიძლი, მწვანილი, პომიდორი, სტაფილო.

ვიტამინი — ეხმარება ცილების გამომუშავებასა და ზრდაში. ის ბლომად გვხვდება კომბოსტოში, კვერცხის გულსა და ხორბალში.

იოდი - სასარგებლოა ფრჩხილის ზრდისათვის. მას შეიცავს შპინატი და ზღვის კომბოსტო.

კალცი - უზრუნველყოფს რჩხილების სიმაგრეს. ბლომად გვხვდება რძის პროდუქტში.

მანიკურის გაკეთება რეკომენდირებულია ორ კვირაში ერთხელ.

არ არის სასურველი მუდამ ლაქიანი ფრჩხილების ქონა. კარგი იქნება პერიოდულად თუ დაასვენებთ ორ-ორი დღით.

ფრჩხილებიდან სიყვითლის მოშორება ლიმნის პატარა ნაჭრებით შეგიძლიათ. ის იმავდროულად გაგიმაგრებთ სტრუქტურას.

ზეითუნის ზეთში აურიეთ ლიმნის რამდენიმე წვეთი და გაუკეთეთ თქვენს ფრჩხილებს 10-20 წუთიანი აბაზანა. ეს დაგეხმარებათ მათ გამაგრებაში.

ხელები რომ არ გაგიუხეშდეთ და გამოგიშრეთ ნუ დაიბანთ მათ ზედმეტად ცხელი ან ცივი წყლით.

ხელის კანის სირბილისა და ელასტიურობისათვის შეგიძლიათ ჩაიტაროთ შემდეგი აბაზანები:

2 ლიტრა თბილ წყალში გახსენით 1 ჩაის კოვზი

ნიშადურის სპირტი ან 1 სუფრის კოვზი გლიცერინი. პროცედურის ხანგრძლივობაა 15–30 წუთამდე და შეგიძლიათ გაიმეოროთ 10-15 დღის განმავლობაში, ყოველდღიურად. ხელახალი კურსის დაწყება ერთი თვის შემდეგაა სასურველი.

ბრინჯი მარილების წინააღმდეგ

თუ მარილები გაწუხებთ, ორგანიზმის გასათავისუფლებლად და თავის დასაცავად, საუკუნეების განმავლობაში გამოცდილ ტიბეტურ მეთოდს გთავაზობთ. მკურნალობის ეს ხერხი იმდენად ეფექტურად გამოდევნის ზედმეტ მარილს, რომ სპეციალისტების რჩევით, პროფილაქტიკისთვისაც კი, მხოლოდ ხუთ წელიწადში ერთხელ უნდა მივმართოთ.

ზედმიწევნით მისდიეთ ქვემოთ მოყვანილ რჩევებს და გამოჯანმრთელდით!

აიღეთ ექვსი ცალი, ხუფიანი მაწვნის ქილა. დანომრეთ.

პირველ ქილაში ჩაყარეთ სამი კოვზი ბრინჯი, დაასხით პირამდე წყალი, დაახურეთ ხუფი და შედგით მაცივარში.

მეორე დღეს, აიღეთ მეორე ქილა. ქილაში ჩაყარეთ სამი კოვზი ბრინჯი, დაასხით პირამდე წყალი, დაახურეთ ხუფი და შედგით მაცივარში. №1 ქილიდან კი გადაასხით წყალი და თავიდან დაასხით ახალი.

მესამე დღეს აიღეთ №3 ქილა, ჩაყარეთ სამი

კოვზი ბრინჯი, დაასხით პირამდე წყალი, დაახურეთ ხუფი და შედგით მაცივარში. №1 და №2 ქილებიდან კი გადაასხით წყალი და თავიდან დაასხით ახალი.

ასე გააგრძელეთ ექვსი დღე. ახალ ქილებში ჩაყარეთ ბრინჯი და დაასახით წყალი, წინა დღეებში დაყენებულებს კი გამოუცვალეთ ხოლმე.

მეშვიდე დღეს, უზმოზე, პირველი ქილიდან გადაასხით წყალი, ბრინჯი გარეცხეთ და 10-15 წუთის განმავლობაში მოხარშეთ.

ცარიელ №1 ქილაში თავიდან დააყენეთ სამი კოვზი ბრინჯი წყალთან ერთად და ისევ ისე გააგრძელეთ, ყოველდღიურად, წყლის ცვლა.

მოხარშული ბრინჯი მარილის და ყველაფრის გარეშე მიირთვით და ორი საათი არაფერი ჭამოთ. მერვე დღეს, №2 ქილიდან ამოიღეთ, გარეცხეთ, მოხარშეთ, მიირთვით ბრინჯი და ისევ ახალი ბრინჯი და წყალი დააყენეთ.

ამ პრინციპით გააგრძელეთ მკურნალობა ორმოცი დღის განმავლობაში.

გაზეთის ხელმომწერთა საყურადღებოდ!

ერთი ნომრის ღირებულება ორგანიზაციებისთვის
1 წლით - 50 ლარი
6 თვით - 25 ლარი
3 თვით - 12,50ლარი
კარდაკარის პრინციპით გაზეთის გამოწერა მოქალაქეებისთვის
3 თვით - 6 ლარი

იკითხეთ გაზეთი მთავარი თემა სამეგრელოში

გაზეთი „მთავარი თემა სამეგრელოში" სამუშაოდ იწვევს

სამეგრელოს რეგიონიდან ყველა ასაკის მქონე ადამიანებს გაზეთის გამავრცელებლად და სარეკლამო აგენტებად კანდიდატების შერჩევა მოხდება გასაუბრებით. მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე: ფოთი წმ. ნინოს ქუჩა 3/19
ტელეფონი: 599 34 14 17

გაზეთი „მთავარი თემა სამეგრელოში" სტაქირებაგე

იწვევს სტუდენტებს, ახალგაზრდებს რომელთაც სურთ მიიღონ გამოცდილება ჟურნალისტიკაში წარმატებული სტაქიორები დასაქმდებიან გაზეთში. დაინტერესებულმა პირებმა მოგვმართეთ მისამართზე: ფოთი წმ. ნინოს ქუჩა 3/19 ტელ: 599 34 14 17

ისარგებლეთ გაზეთ "მთავარი თემა სამეგრელოში"შეღავათიანი მომსახურებით, განათავსეთ გაზეთში განცხადებები,რეკლამები, მილოცვები. ოჯახის სამგლოვიარო განცხადებები,მილოცვა- ჩვეულებრივი შრიფტით - ერთი ასო 5 თეთრი, სქელი შრიფტით - 7 თეთრი, პირველ გვერდზე - ორმაგი ფასი, სურათიანი განცხადებები: სამგლოვიარო - 15 ლარი,მილოცვა - 10 ლარი, არაპოლიტიკური რეკლამა: მესამე გვერდზე- მთლიანი გვ. (1000სმ2)-150 ლარი,ნახევარი (500 სმ2) - 75 ლარი;მეოთხედი (250სმ2)- 37.50 ლარი; მეხუთე გვერდზე: მთლიანი გვ. -130 ლარი; ნახევარი - 65 ლარი; მეოთხედი 32.50 ლარი. პირველ გვერდზე რეკლამა ხუთჯერ ძვირია, ვიდრე მესამე გვერდზე,ბოლოზე- სამჯერ ძვირი ვიდრე მესამე გვერდზე. პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია. მრავალჯერად რეკლამებზე და ხელმომწერებზე გათვალისწინებულია ფასდაკლება. გაზეთის გამოწერის მსურველებმა მიმართეთ სამეგრელოს რეგიონალური გამოცემის ოფისს. ქ. ფოთი, წმ. ნინოს ქ.3/ 2 ტელ: 0(493) 22-40-50; 5(99) 34 14 17,

მთავარი თემა სამეგრელოში *თქვენი პრობლემების კვალდაკვალ*

(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.